



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

04 მარტი 2026



N 133/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - „სურები 2 ჰესის“ და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ - კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ (სკ: 404485188) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 24 ნოემბერს (წერილი N 11751) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - „სურები 2 ჰესის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია. გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N 738/ს 28/11/2025; N 806/ს 24/12/2025) და შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმომადგენლებთან ჩართვა. ინფორმაციის გავრცელების მიზნით დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ.

დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, 2025 წლის 24 ივნისს, კოდექსის შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - „სურები 2 ჰესის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც კოდექსის მიხედვით განხორციელებული სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N55; სააგენტოს ბრძანება N 417/ს; 11/08/2025).

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N 21/1125) შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ 2026 წლის 11 თებერვალს სააგენტოში წარმოდგენილი იქნა განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია (წერილი N1978), რომელიც ეხება: მდინარე სუფსას საშუალო წლიური ხარჯის დადგენის საკითხს, ეკოლოგიური ხარჯის შესახებ ინფორმაციას, სათავე ნაგებობის

მშენებლობით (ზღუდარების მოწყობა-დაშლა, მდინარის გადაგდება, სამშენებლო მექანიზმების მუშაობა კალაპოტში) იქთიოფაუნაზე მიყენებული სავარაუდო ზიანის სიდიდეს, თევზსავალის და თევზამრიდის ალტერნატივების შესახებ დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენას და სხვა საკითხებს. აღნიშნული საკითხები განხილული იქნა საქსპერტო კომისიის (ბრძანება N 98/ს; 12/02/2026) მიერ. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელი ტობახჩას სიახლოვეს, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. ჰესის ინფრასტრუქტურა მოეწყობა მდ. სუფსას ხეობაში დაახლოებით 909-504 მ ნიშნულზე შორის არსებულ მონაკვეთზე. საპროექტო ჰესის ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობების განთავსება მოხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. საპროექტო ჰესის ძირითადი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: სათავე კვანძი, სადაწნეო-სადერივაციო მილსადენი და ჰესის შენობა, აგრეთვე წყალგამყვანი არხი, რომლის მეშვეობითაც მოხდება ნამუშევარი წყლის დაბრუნება მდ. სუფსაში. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სათავე კვანძის განთავსების მიახლოებითი ადგილის GPS კოორდინატებია: X-296171; Y-4645395; ძალური კვანძის - X-291142; Y-4647132. ჰესის სათავე ნაგებობა მოეწყობა მდ. სუფსაზე ზ.დ. 909 მ ნიშნულზე. წყლის დერივაცია განხორციელდება დაახლოებით 6755 მ სიგრძის მილსადენის საშუალებით, სადერივაციო-სადაწნეო მილსადენით წყალი მიეწოდება სააგრეგატო შენობას, რომელიც განთავსდება ზ.დ. დაახლოებით 504 მ ნიშნულზე. საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე იქნება - 15,0 მგვტ, ჰესის მიერ მდინარიდან ასაღები წყლის საანგარიშო ხარჯი - 5 მ<sup>3</sup>/წმ, ეკოლოგიური ხარჯი - 0,38 მ<sup>3</sup>/წმ (საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10 %). ჰესი წლიურად გამოიმუშავებს დაახლოებით 75,7 გვტ-სთ ელექტროენერჯიას. საპროექტო ჰესის ინფრასტრუქტურიდან (სააგრეგატო შენობა) უახლოესი მოსახლე (სოფ. ტობახჩა, GPS კოორდინატები: X-291323; Y-4647070.) მდებარეობს 168 მეტრის დაშორებით, ხოლო სათავე ნაგებობასთან მოსაწყობი სამშენებლო ბანაკიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. ტობახჩა) - დაახლოებით 4000 მ-ში.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ჰესთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის პარამეტრებისა და განთავსების ადგილების ალტერნატივები. კერძოდ, განხილულია ჰიდროტექნიკური ნაგებობების და განლაგების ალტერნატივები და უმოქმედობის ალტერნატივა. პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური და ენერგეტიკული ფაქტორების გათვალისწინებით, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილი იქნა. ჰიდროტექნიკური ნაგებობების განლაგების შერჩევის ფარგლებში განხილული იქნა 2 ალტერნატივა („ალტერნატივა 1“ და „ალტერნატივა 2“). „ალტერნატივა 1“ ითვალისწინებს მდ. სუფსაზე ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ორი ჰესის მშენებლობას - „სურები 2 ჰესი“ და „სურები 3 ჰესი“ (კასკადი, დადგმული სიმძლავრით 16 მგვტ). „ალტერნატივა 2“ ითვალისწინებს მდ. სუფსაზე ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ერთი ჰესის - „სურები 2 ჰესის“ მშენებლობას (დადგმული სიმძლავრე 15 მგვტ). გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, ალტერნატივების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გარემოსდაცვითი, მათ შორის მოსალოდნელი საშიში გეოდინამიკური რისკების, ასევე მცენარეულ საფარზე და მდინარის ჰიდროლოგიაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების გათვალისწინებით „ალტერნატივა 1“ უარყოფილი იქნა. შედეგად, უპირატესობა მიენიჭა „ალტერნატივა 2“-ს, რომლის დროსაც სათავე ნაგებობა ჩამოწყული იქნა 909 მ. ნიშნულზე, რითიც არიდებული იქნა შესაძლო საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკები. ასევე ჩამოწყული იქნა ჰესის შენობა 20 მ ნიშნულის სხვაობით, რომელიც 200 მ მანძილით არის დაშორებული „ალტერნატივა 1“-ის არეალს. შერჩეული ალტერნატივით ასევე, გათვალისწინებულია ტერიტორიის მდებარეობა არსებულ მისასვლელ გზებთან, რაც თავის მხრივ, ამცირებს მცენარეულ საფარზე მოსალოდნელ ზემოქმედებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „ალტერნატივა 1“ ითვალისწინებდა მდინარის ჰიდროპოტენციალის 10.5 კმ - ზე ათვისებას, ხოლო „ალტერნატივა 2“ (შერჩეული) - 6.8 კმ-ზე. შესაბამისად,

აღნიშნულით შემცირებულია მდინარის ჰიდროლოგიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი და მასშტაბი.

დამატებით წარმოდგენილ დაზუსტებულ დოკუმენტაციაში ასევე მოცემულია ინფორმაცია თევზსავალის და თევზამრიდის ალტერნატივების შესახებ. თევზსავალის შერჩევისას წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია შემოვლითი არხის ტიპის თევზსავალის და ვერტიკალურსლოტიანი თევზსავალის შესახებ. სათავე ნაგებობის განთავსების მდებარეობაზე არსებული ლანდშაფტის გათვალისწინებით, რეკომენდებულად იქნა მიჩნეული ვერტიკალურ სლოტიანი თევზსავალი ნაგებობის დაპროექტება. თევზამრიდი ნაგებობის ალტერნატიული ვარიანტების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია, ე.წ. „ეარლიფტის“, „ელ.შოკური (იმპულსური)“ და მექანიკური თევზამრიდის შესახებ. იქთიოფაუნაზე მოსალოდნელი ნაკლები ზემოქმედების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა მექანიკური თევზამრიდის მოწყობას, რომელიც გისოსის სახით დამონტაჟდება წყალამღები ნაგებობის შესასვლელთან. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, ვინაიდან მდ. სუფსას ხეობა წარმოადგენს ვიწრო V-სებურ ხეობას, სადაც მცირემიწიანი გარემოა, სანაყაროების ადგილების ალტერნატიული ვარიანტები არ განხილულა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სათავე კვანძი წარმოადგენს რკინა-ბეტონის ნაგებობას, რომლის მიახლოებითი პარამეტრები, შემადგენელი ნაწილებით, შემდეგია: სიგანე - 70მ; სიგრძე - 110მ. სიმაღლე - 10მ (მიწისზედა ნაწილი). ჰესის სათავე კვანძის შემადგენლობაში იქნება: თევზსავალი, ასევე წყალგამშვები, რომელიც აღიჭურვება კარიბჭიანი რეგულატორით, რომელზეც განთავსდება სამი ვერტიკალური ფარი, თითოეულის ზომებია: სიმაღლე 3.5 მ და სიგანე - 5 მ; გამრეცხი არხი, სათავე ნაგებობის ზემოთ დაგროვილი ნატანის გასარეცხად; შემოვლითი მილი: სიგრძით 11.80 მ, 310 მმ, ეკოლოგიური ხარჯის ნაწილის (0.18 მ<sup>3</sup>/წმ) მდინარის კალაპოტში გასაშვებად (თევზსავალში გატარებული წყლის ხარჯი იქნება 0.20 მ<sup>3</sup>/წმ, რაც ჯამურად უდრის 0.38 მ<sup>3</sup>/წმ; გვერდითი ტიპის წყალმიმღები, რომელიც ძირითადად შედგება 3.1 მ სიგანის არხისგან; სალექარი, რომელიც შედგება ორი კამერისგან; ავანკამერა, რომელიც წარმოადგენს ფოლადის სადაწნეო მილსადენის წყალმიმღებ ნაგებობას და რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სამომსახურებო კარიბჭით/ფარით და საავარიო წყალგამშვებით.

წყალსაგდები დამბა უზრუნველყოფს ნორმალურ შეტბორვას 909 მ ნიშნულზე და წყალდიდობის ნაკადის (ზ.დ. 911 მ) უსაფრთხო გატარებას. დამბაზე გადადინებული წყლის ნაკადის ენერჯის შესამცირებლად და ქვედა ბიეფის გამორეცხვისგან დაცვის მიზნით, დამბის ქვედა ბიეფში, დაგეგმილია 23 მ სიგრძისა და 3 მ სიღრმის ჩამქრობი ჭის (ე.წ. რიპ-რაპი) მოწყობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნორმალური შეტბორვის პირობებში შეგუბების სარკის ზედაპირის ფართობი იქნება 3404 მ<sup>2</sup>, ხოლო წყალდიდობის ანუ მაქსიმალური შეტბორვის პირობებში - 5734 მ<sup>2</sup>. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ჰესის შეტბორვის სარკის ზედაპირის ფართობის გათვალისწინებით კლიმატის ცვლილების რისკები მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის ზედა და ქვედა ბიეფებს შორის თევზის გადაადგილებისთვის, მდინარის მარცხენა სანაპიროზე გათვალისწინებულია აუზების ტიპის თევზსავალის მოწყობა, აუზების/საფეხურების ჯამური რაოდენობა შეადგენს 41-ს. თითოეული აუზის სიგრძე იქნება 1,95 მ; აუზის სიგანე - 1,5 მ; სლოტის სიგანე 0,20 მ; წყლის სიღრმე 0,50 მ. აუზის გეომეტრიის და წყლის დონეების გათვალისწინებით, თევზსავალში გამავალი ხარჯი იქნება 0.20 მ<sup>3</sup>/წმ (ეკოლოგიური ხარჯის ნაწილი). როგორც აღინიშნა, პროექტით ასევე გათვალისწინებულია მექანიკური თევზამრიდის მოწყობა. თევზამრიდის მუშაობის ეფექტურობის მაქსიმალურად გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია წყალმიმღები ცხაურის წინ სინათლით ზემოქმედების მეთოდის დანერგვა, რაც გულისხმობს მაღალი ინტენსივობის განათების მონტაჟს, წყლის ზედაპირიდან 40 სმ სიღრმეზე.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გვერდითი ტიპის წყალმიმღები გათვლილი იქნება 5,0 მ<sup>3</sup>/წმ წყლის ნაკადის გატარებაზე, რომელიც განთავსდება მდინარის კალაპოტში. წყალმიმღები აღჭურვილია წვრილი და უხეში ნარჩენდამჭერებით და საავარიო წყალგამშვებით, რომელიც წყალს ქვიშადამჭერში/სალექარში ატარებს. წყალმიმღები ძირითადად შედგება 3.1 მ სიგანის შემკრები არხისგან. არხის გასწვრივ განლაგებულია შემდეგი ელემენტები: გამრეცხი ღიობი, რომელიც მდებარეობს წყალმიმღების კედელზე, აქვს მართკუთხა სექცია (1მ X 1მ) და აღჭურვილია კარიბჭით; აგრეთვე 1 ჩამკეტი, რომლითაც იკეტება წყალმიმღები არხი ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად. შემკრებ არხს წყალი წყალმიმღებიდან სალექარში გადააქვს, რომელიც შედგება ორი კამერისგან (ერთი კამერის საპროექტო ხარჯი შეადგენს 2.7 მ<sup>3</sup>/წმ), სალექარის შესასვლელი აღჭურვება 2 ვერტიკალური კარიბჭით/ფარით, 4 მეტრის სიმაღლით, ხოლო სალექარის გამოსასვლელი აღჭურვება 2 ჩამკეტით, 2.5 მ სიმაღლით. სალექარი გათვალისწინებულია 0,2 მმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ნაწილაკების დალექვისთვის.

სადაწნეო-სადერივაციო მილსადენის სიგრძე იქნება 6755 მ, დიამეტრი – 1.4 მ. მილსადენი განთავსებული იქნება მიწისქვეშ. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, სადაწნეო მილსადენის განთავსება დაგეგმილია ძალურ კვანძსა და სათავე ნაგებობას შორის დაგეგმილი საავტომობილო გზის დერეფანში. საავტომობილო გზა და შესაბამისად სადაწნეო მილსადენი თავდაპირველად სათავე ნაგებობიდან მოყოლებული ხეობის და მდინარის მარჯვენა სანაპიროს ფერდობს მიუყვება დაახლოებით 1825 მ-ის მანძილზე, სადაც კვეთს (მიახლოებითი GPS კოორდინატი: X-295030, Y-4646784) მდ. სუფსას და გადადის მის მარცხენა ნაპირზე. კვეთიდან დაახლოებით 2225 მეტრის მანძილზე კვეთს (მიახლოებითი GPS კოორდინატი: X-293377, Y-4647086) მდინარეს და გადადის ისევ მის მარჯვენა მხარეს. სადაწნეო მილსადენის დასაწყისში, ბოლოში და მდინარეზე კვეთის ადგილებში მოეწყობა ბეტონის ანკერ ბლოკები/ბალიშები. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მდ. სუფსის შენაკადების სადერივაციო მილსადენით გადაკვეთა გათვალისწინებულია კულვერტების (წყალგამტარი მილების) საშუალებით. შენაკადების ხარჯები გატარდება სადერივაციო მილსადენის ზემოდან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დოკუმენტაციაში შესაბამის სქემატურ ნახაზებზე წარმოდგენილია ინფორმაცია ნაპირსამაგრების მოსაწყობად განკუთვნილი მონაკვეთების შესახებ. წარმოდგენილი ელექტრონული Shp-ფაილების მიხედვით, ნაპირსამაგრების საერთო სიგრძე შეადგენს 115 მეტრს. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია საპროექტო სადაწნეო-მილსადენის მარშრუტული დახასიათება. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ საპროექტო უბნების და მისასვლელი გზების წყალდიდობისგან დაცვის მიზნით მოეწყობა ნაპირდამცავი ნაგებობები ქვაყრილების სახით. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, მილსადენის ხევებთან და მდ. სუფსასთან გადაკვეთის ადგილებში გათვალისწინებული კონსტრუქციები უზრუნველყოფს 1000 წლიანი წყალდიდობის ხარჯის უსაფრთხო გატარებას.

სადერივაციო-სადაწნეო მილსადენიდან წყალი მიეწოდება ძალურ კვანძს (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-291142, Y-4647132). ძალური კვანძის მოწყობა დაგეგმილია ზღვის დონიდან 504 მ ნიშნულზე. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილია მიწისზედა ჰესის შენობის მოწყობა, სადაც დამონტაჟდება 2 ერთეული პელტონის ტიპის ტურბინა, რომლებიც მოთავსებული იქნება ფოლადის ფირფიტისგან დამზადებული ტურბინის გარსაცმში. ჰესის შენობის მიახლოებითი პარამეტრებია: სიგრძე 27.20მ, სიგანე 14.36 მ, სიმაღლე 11.5 მ. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ტურბინებიდან გამოსული წყალი ორი შუალედური ღია არხით ჩაედინება მდ. სუფსაში. თითოეული არხის სიგრძე არის დაახლოებით 10 მ, ხოლო სიგანე - 3.3 მ. ორივე არხი აღჭურვება საკეტებით, რაც უზრუნველყოფს ტურბინის შახტების იზოლირებას ტექ. მომსახურების სამუშაოების დროს ან წყალდიდობის პერიოდში. არხების მდინარის შეერთებასთან, ნაპირის ეროზიისგან დასაცავად მოეწყობა ე.წ. „რიპ-რაპი“ (წყობური ქვით გამაგრება).

ძალური კვანძის ტერიტორიაზე დაგეგმილია 110 კვ ძაბვის ქვესადგურის/სატრანსფორმატოროს მოწყობა. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ტრანსფორმატორის ძირითადი ტექნიკური მონაცემების შესახებ. ზეთების დაღვრის პრევენციის მიზნით სატრანსფორმატორო უზრუნველყოფილი იქნება ზეთის დაღვრის საწინააღმდეგო შემკრები არხებით და ავზით. სადგურის ენერგოუსაფრთხოებისთვის საგენერატორო შენობის ეზოში განთავსდება 100 კვა სიმძლავრის სარეზერვო დიზელგენერატორი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გამომუშავებული ელექტროენერჯის გადაცემა მოხდება დაახლოებით 8 კმ სიგრძის 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით, რითაც დაუკავშირდება „ზოტი ჰესის“ მშენებარე 110/35 კვ ქვესადგურს, საიდანაც დაკავშირებული იქნება ერთიან ელექტროენერგეტიკულ ქსელში. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი დამუშავდება ცალკე პროექტის სახით, რაზეც მომზადდება შესაბამისი დოკუმენტაცია.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ჰესის ძირითადი ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობაა 1,5 წელი. მშენებლობის პირველ ეტაპზე მოხდება არსებული გზების მოწესრიგება და სამშენებლო ბანაკების, სამშენებლო მოედნების, სანაყაროების და სხვა დროებითი უბნების მომზადება (მცენარეული საფარის მოხსნა, არსებობის შემთხვევაში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა) და მშენებლობისთვის საჭირო დანადგარ-მექანიზმების მობილიზაცია. მეორე ეტაპი გულისხმობს მიწის სამუშაოებს, ნაგებობის ფუნდამენტების მომზადებას, თხრილების გაყვანას, მუდმივი კონსტრუქციების (სათავე კვანძი, სადაწნეო მილსადენი, ჰესის შენობა, გამყვანი არხი) სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებს; სამშენებლო ინფრასტრუქტურის დემობილიზაციას და სარეკულტივაციო სამუშაოებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე დასაქმებული იქნება 70-100 ადამიანი. სამუშაოები წარიმართება წელიწადში დაახლოებით 300-დღიანი გრაფიკით. ექსპლუატაციის ეტაპზე ჰესი იმუშავებს წელიწადში 365 დღის განმავლობაში, დასაქმებული იქნება დაახლოებით 25 ადამიანი.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში დაგეგმილია ორი სამშენებლო ბანაკის მოწყობა. კერძოდ, საპროექტო ჰესის სათავესთან და საგენერატოროს განთავსების მიმდებარე ტერიტორიაზე (ჰესის შენობასთან მოეწყობა საოფისე ინფრასტრუქტურა). სათავე ნაგებობასთან მოსაწყობი დროებითი სამშენებლო ბანაკისთვის განკუთვნილი ტერიტორიის ფართობი შეადგენს 735.7 მ<sup>2</sup>-ს. ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X - 296174, Y - 4645456; X - 296168, Y - 4645454; X - 296127, Y - 4645492; X - 296136, Y - 4645502; X - 296165, Y - 4645476. საგენერატორო შენობასთან მოსაწყობი დროებითი სამშენებლო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ტერიტორიის მიახლოებითი ფართობი შეადგენს 431.8 მ<sup>2</sup>-ს. ტერიტორიის კუთხის კოორდინატებია: X - 290976, Y - 4647060; X - 290985, Y - 4647069; X - 291024, Y - 4647063; X - 291023, Y - 4647053. ჰესის სამშენებლო ინფრასტრუქტურასთან ერთად ბეტონის კვანძის მოწყობა დაგეგმილი არ არის, სამშენებლო პროცესი მომარაგდება მზა ბეტონით. გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სათავე ნაგებობასთან მოსაწყობი სამშენებლო ბანაკზე განსათავსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო ავტო-ტექნიკის შესახებ. „სურები 2 ჰესის“ სათავე ნაგებობის სამშენებლო ბანაკი უახლოესი საცხოვრებელი ზონიდან დაშორებულია დაახლოებით 4000 მ-ით. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საწვავით მომარაგება მოხდება მოძრავი ბენზინგასამართი ავტომობილით. ჰესის ტერიტორიის ელექტრომომარაგება განხორციელდება ტერიტორიაზე გამავალი 380 ვოლტი ელექტროგადამცემი ხაზიდან. ხოლო, სათავე ნაგებობაზე ელექტრო ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო, ელექტრომომარაგება განხორციელდება დიზელგენერატორების საშუალებით. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის დასრულების შემდგომ მოხდება დროებითი ნაგებობების დემობილიზაცია და სამშენებლო ტექნიკის გაყვანა, ხოლო აღნიშნულის შემდგომ, დაგეგმილია სარეკულტივაციო და სხვა სამუშაოების ჩატარება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის მშენებლობის პერიოდში წყლის გამოყენება საჭირო იქნება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და ტექნიკური მიზნებისთვის (ხანძარსაწინააღმდეგო მიზნები, მშრალ ამინდებში სამშენებლო მოედნების მორწყვა). გამოყენებული იქნება ადგილობრივი ხევების ან წყაროს წყლები. ბანაკის ტერიტორიაზე და ცალკეულ სამშენებლო მოედნებზე მოეწყობა წყლის სამარაგო რეზერვუარები. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა მშენებლობაში დასაქმებულ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით, იქნება 1350 მ<sup>3</sup>/წელ. ხანძარსაწინააღმდეგო წყლის მარაგის შექმნის, ასევე მშრალ ამინდებში გზების და სამშენებლო მოედნების მორწყვის მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა იქნება დაახლოებით 5000-7000 მ<sup>3</sup> წელიწადში. ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის, რისთვისაც ასევე გამოყენებული იქნება მდინარის ან ადგილობრივი წყაროს წყალი. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებულ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით, იქნება 347 მ<sup>3</sup>/წელ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სათავე ნაგებობასთან და ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდისთვის მოეწყობა ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობები. გზმ-ის ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს, ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი. რომლის თანახმად, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის შერჩეული იქნა ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი („BIOTAL-3“), რომლის წარმადობა იქნება 5 მ<sup>3</sup>/სთ. დანადგარის ტექნოლოგიის მიხედვით, გასაწმენდად მიწოდებული ჩამდინარე წყალი თანმიმდევრულად გადაედინება პირველიდან, მეორე და მესამე რეაქტორში და თითოეულ მათგანში გადის ბიოლოგიური გაწმენდის განსაზღვრულ ციკლს. თითოეულ რეაქტორში მრავალჯერ მეორდება აერაციისა და შერევის პროცესები, ამასთან, მესამე საფეხურის ბიორეაქტორი პერიოდულად გადადის დაწმენდის რეჟიმში, რის შემდეგაც გაწმენდილი ჩამდინარე წყალი გადაიქაჩება ბიოლოგიურ, თხელშრიან ფილტრ-სალექარში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მდ. სუფსაში, ორ წერტილში (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: N1 - X - 296103, Y - 4645425; N2 - X - 291002, Y - 4647082).

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საჭიროა მხოლოდ 3.3 კმ სიგრძის ახალი გზის მშენებლობა, ხოლო დარჩენილი გზის მონაკვეთი (3.5 კმ) არსებულია და იგეგმება მისი მოწესრიგება/რეაბილიტაცია. გზის სიგანე შეადგენს 6 მ-ს, საძირკვლის დონეზე, ხოლო სავალი ნაწილი იქნება 5 მ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფერდობებიდან ატმოსფერული ნალექის დრენაჟის მოწყობა გათვალისწინებულია გზის პარალელურად თხრილის სახით.

საპროექტო დერეფანში, მოსალოდნელია ფუჭი გამონამუშევარი ქანების წარმოქმნა, რომლის გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება პროექტის მიზნებისთვის (მაგ: ვაკისების მოსაწყობად და სხვ.), ხოლო მუდმივად განსათავსებელი გრუნტის სავარაუდო მოცულობა შეადგენს 13 000 მ<sup>3</sup>-ს. გამონამუშევარი ფუჭი ქანების განთავსების ადგილები შერჩეულია საპროექტო გზის უშუალო სიახლოვეს. „სანაყარო ზონა 1-ის“ მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-293,774, Y-4,647,301; „სანაყარო ზონა 2-ის“ მიახლოებითი GPS- X-295,817, Y- 4,645,756. სანაყაროები მდ. სუფსადან დაშორებულია 50 მ-ზე მეტი მანძილით (ელექტრონული გადამოწმებით დაახლოებით 50-70 მ). დოკუმენტაციაში მოცემულია ინფორმაცია სანაყაროს მოწყობის ფარგლებში, ფუჭი ქანების განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის პროცესში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მაქსიმალური მოცულობა იქნება 2664 მ<sup>3</sup>, რომელიც გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებისათვის. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დროებით განთავსებისათვის გამოყენებული იქნება სანაყაროები. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და რეკულტივაცია განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების

და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო რეგიონის ფონური მდგომარეობის და გარემო პირობების აღწერა. გზმ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციის, შერბილების მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ყველა დროებით ათვისებულ ტერიტორიას ჩაუტარდება სათანადო რეკულტივაცია, მათ შორის სანაყაროების ზედაპირზე და დაზიანებულ უბნებზე მოხდება ნაყოფიერი ფენის შეტანა. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება დაკავშირებული შეიძლება იყოს საწვავ-საპოხი მასალების და სამშენებლო მასალების შენახვის წესების დარღვევასთან, ასევე სამშენებლო ტექნიკიდან და სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის/საპოხი მასალების შემთხვევით დაღვრასთან. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლები წარმოდგენილია ორი ჯგუფით: სიღრმული და არაღრმა ცირკულაციის წყლებით. ამ უკანასკნელს მიეკუთვნებიან ალუვიური (aQIII-IV) და დელუვიურ-პროლუვიურ (dpQIV) ნალექებში გავრცელებული გრუნტის წყლები, აგრეთვე, მიწისქვეშა წყლები, რომლებიც ვრცელდება შუა ეოცენის ვულკანოგენურ-დანალექი ქანების ზედა ნაპრალოვან ზონაში. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე მიწისქვეშა წყლების დებიტების ცვლილება ნაკლებად მოსალოდნელია, ვინაიდან პროექტი არ გულისხმობს მიწისქვეშა გვირაბის გაყვანას და ღრმა გეოლოგიურ სტრუქტურებზე პირდაპირ ზემოქმედებას. ნაგებობების ფუნდამენტების მოწყობის პროცესში, მიწის სამუშაოების შედეგად არსებობს გრუნტის წყლების დაბინძურების გარკვეული რისკები. დაბინძურების წყარო შეიძლება იყოს სატრანსფორმატორო ზეთები და ტერიტორიაზე დასაწყობებული სხვა სახის ნავთობპროდუქტები. აღნიშნული ზემოქმედებების შესაბამისად, გზმ-ის დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.

გზმ-ის ანგარიშის დანართის სახით თან ახლავს, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოების შედეგები. პირველი ეტაპის საველე და კამერალური სამუშაოების კომპლექსი შესრულდა 2024 წლის 24 აპრილიდან 27 მაისამდე პერიოდში. მეორე ეტაპის 2025 წლის 17 აგვისტოდან 26 სექტემბრამდე პერიოდში. კვლევების პირველ ეტაპზე „სურები 2 ჰესის“ ნაგებობათა განლაგების ზოლის გამოსაკვლევად ჩატარდა გრუნტების ვერტიკალური ელექტროზონდირების 30 ცდა და შესრულდა სეისმური კვლევები ნაგებობათა განლაგების უბნებზე, 4 პროფილზე. საკვლევ ტერიტორიაზე აღებული იქნა ზედაპირული წყლების და კლდოვანი ქანების ნიმუშები. კვლევების მეორე ეტაპზე ჩატარდა გრუნტების ვერტიკალური ელექტროზონდირების 18 ცდა. გაიზურდა 2 საძიებო ჭაბურღილი სათავე ნაგებობის უბანზე და ჰესის სააგრეგატო შენობასთან. გაყვანილი იქნა 5 საძიებო შურფი. აღებული იქნა წყლების და გრუნტების ნიმუშები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საკვლევ ტერიტორია აგებულია პალეოგენური ასაკის, კერძოდ შუა ეოცენის ზედა ნაწილის, აჭარა-თრიალეთის ზონის – ჭიდილის წყების ვულკანოგენური წარმონაქმნებით (E2 2b), რომელიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია ძირითადად: ანდეზიტ-ბაზალტური შედგენილობის ლავებით, ლავური ბრექჩიებით, ტუფობრექჩიებით, ტუფებით, ტუფოქვიშაქვებით, ალევრიტული ტურბიდიტებით და მერგელებით. აღნიშნული სახესხვაობები, საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში, სხვადასხვა ინტენსივობითაა წარმოდგენილი. ასევე ცვალებადია

მათი გამოფიტვის ხარისხი და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები. საქართველოში ამჟამად მოქმედი სამშენებლო ნორმის - „სეისმომდეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) მიხედვით, სამშენებლო ტერიტორიის სეისმურობა, MSK64 სკალის შესაბამისად, არის 7 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი  $A=0.11$  (პუნქტი №948 - ზემო სურები).

საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის ტექნიკური ანგარიშების მიხედვით, „სურები 2 ჰესის“ სათავე ნაგებობის განთავსების უბანზე გეოდინამიკური პირობების მიხედვით საყურადღებოა მდ. სუფსის მარჯვენა შენაკადის ხევის გეოლოგიური მოქმედება, სადაც პერიოდულად, წყალუხვობის დროს შესაძლებელია განვითარდეს ქვა-წყლიანი ღვარცოფული ნაკადი, რაც საფრთხეს შეუქმნის სალექარის უსაფრთხო ექსპლუატაციას. რის გამოც რეკომენდებულია ქვაწყლიანი ნაკადის რეგულირება და მიმართვა მდინარის კალაპოტისკენ. ასევე, გასათვალისწინებელია მდ. სუფსის ადიდება და ამით გამოწვეული შესაძლო ეროზიული მოვლენები. გეოდინამიკური პირობების მიხედვით, სადაწნო მილსადენის განლაგების ზოლში გამოვლენილი გეოლოგიური მოვლენები დაახლოებით მსგავსი ინტენსივობით ფიქსირდება, როგორც მდინარის მარჯვენა ასევე მარცხენა ნაპირზე. „სურები 2 ჰესის“ სააგრეგატო შენობის განლაგების უბანზე გეოდინამიკური პირობების მიხედვით გასათვალისწინებელია მდ. სუფსის ადიდება და გამოწვეული შესაძლო ეროზიული მოვლენები. ზემოაღნიშნული გეოდინამიკური რისკების შემარბილებელ ღონისძიებად პროექტი ითვალისწინებს ნაპირსამაგრების მოწყობას.

გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ, ვინაიდან მდ. სუფსას საპროექტო კვეთებში ანალოგის მეთოდის გამოყენება შეუძლებელია, მისი წყლის მაქსიმალური ხარჯები 900 მეტრ ნიშნულზე მოსაწყობი სათავე ნაგებობისა და 500 მეტრ ნიშნულზე მოსაწყობი სააგრეგატო შენობის კვეთებში, დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წყალშემკრები აუზის საშუალო სიმაღლე არის 2022 მ, წყალშემკრები აუზის ფართობი 77.6 კმ<sup>2</sup>, საშუალო მრავალწლიური ხარჯი ტოლია 3.83 მ<sup>3</sup>/წმ. გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია მდ. სუფსას საანგარიშო უზრუნველყოფის (10%, 50%, 75% და 90%) საშუალო წლიური ხარჯების შიდაწლიური განაწილების შესახებ. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის მიერ ასაღები ხარჯი შეადგენს 5 მ<sup>3</sup>/წმ. დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია მდინარე სუფსას წყლის მაქსიმალური და მინიმალური ხარჯების, ასევე კალაპოტის ადგილობრივი გარეცხვის სიღრმის შესახებ.

გზმ-ის ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს, ჰიდრავლიკური გაანგარიშებები, რომლის მიხედვითაც, ოთხ ლოკაციაზე წყლის დონის გამოსათვლელად შემუშავდა მდ. სუფსას ჰიდრავლიკური მოდელი. მდინარის ჰიდრავლიკური შეფასების მიზანს წარმოადგენდა წყლის დონეების განსაზღვრა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, განისაზღვრა პროექტის ჰიდროტექნიკური ნაგებობების ზომები და მოხდა პარამეტრების ვალიდაცია/დაზუსტება ჰიდრავლიკური პირობების და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სათავე ნაგებობასთან მდინარე სუფსას საშუალო ხარჯი შეადგენს 3.8 მ<sup>3</sup>/წმ, ხოლო ქვედა ბიეფში გასაშვები ეკოლოგიური ხარჯი იქნება 0.38 მ<sup>3</sup>/წმ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ამ ხარჯის გარკვეული ნაწილის გაშვება მოხდება თევზსავალის მეშვეობით, თუმცა, თევზსავალის ტექ. მომსახურების დროს ან თუ საჭირო გახდა სათავე ნაგებობის ზემოთ მდებარე წყალსაცავის დონის დაწევა წყალმიმღების სიმაღლეზე დაბლა, მთელი ეკოლოგიური ხარჯი გატარდება შემოვლით მილში. დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია „სურები 2 ჰესის“ საპროექტო მონაკვეთში არსებული შენაკადების შესახებ. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მდ. სუფსას ხეობის შესწავლის შედეგად, საპროექტო მონაკვეთში რაიმე ტიპის წყალმომხმარებელი ობიექტები (თევზსაშენი მეურნეობა, წისქვილი და სხვა) არ ფიქსირდება.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 177963 კვ.მ ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. კერძოდ, ჩოხატაურის სატყეო უბნის ზემო სურების სატყეოს, კვარტალი N6; N17-20; N29; N81-83; N85. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა საჭიროებს ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებას. ამასთან, სანაყაროსთვის განკუთვნილი - 25480 კვ.მ ფართობი არ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მოსამზადებელ ეტაპზე მცენარეული საფარისაგან გაწმენდის სამუშაოები შეთანხმდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთან. გზმ-ის ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს ინფორმაცია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისათვის შერჩეული ფართობების ნუსხის (გურიის სატყეო სამსახური, ჩოხატაურის სატყეო უბანი, ზემო სურები-ს სატყეო) შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, „სურები 2 ჰესის“ პროექტის განხორციელების შედეგად მოჭრილი იქნება დაახლოებით 4000 ცალი ხე-მცენარე, საიდანაც, საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა წაბლის (*Castanea sativa*) საერთო ინდივიდთა რაოდენობა შეადგენს 286 ერთეულს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დაცული სახეობების გარემოდან ამოღება მოხდება „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გზმ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ჰესისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გავლენის ზონაში არსებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, შეფასებულია ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედება და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის ფარგლებში საველე სამუშაოები ჩატარდა 2024 წლის მარტისა და აპრილის თვეებში, ასევე 2025 წლის აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში. დოკუმენტაციაში მოცემულია განხორციელებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შესახებ ინფორმაცია, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ჩატარებული კვლევების მეთოდოლოგიის, შედეგების, შემარბილებელი/საკომპენსაციო და სარეკომენდაციო ღონისძიებების შესახებ. კვლევები ჩატარებულია ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე. ფაუნის კვლევა მოიცავს ფრინველების, ძუძუმწოვრების, იქთიოფაუნის, ხელფრთიანების, უხერხემლოების, ქვეწარმავლების და ამფიბიების, ფრინველების და წყალზე დამოკიდებული სახეობების კვლევებს. საველე კვლევების (2024 წ. და 2025 წ.) და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად საპროექტო დერეფანში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 30-ზე მეტი, ხელფრთიანების 20-მდე, ფრინველების 90-ზე მეტი, ქვეწარმავლების და ამფიბიების 20-მდე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო დერეფანში წარმოდგენილია ძირითადად 3 ტიპის ჰაბიტატი: 1) G 1 ფართოფოთლოვანი ტყე. 2) G1.1 ჭალისა და სანაპირო ტყეები, სადაც დომინირებს მურყანი, არყი, ვერხვი ან ტირიფი. 3) J როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ისე სხვა ანთროპოგენიზებული ჰაბიტატები. წარმოდგენილია დაგეგმილი სადაწნეო მილსადენის სათავე ნაგებობიდან ჰესის შენობის მიმართულებით მონაკვეთის ფლორისტული აღწერა ინვენტარიზაცია. დახასიათებულია ჰაბიტატის სენსიტიურობა აღნიშნულ მონაკვეთებზე.

კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს წითელი ნუსხის სახეობაზე - წავი (*Lutra lutra*). წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2024-2025 წლების საველე კვლევებისას ხეობაში წავის ნაკვალევი არ დაფიქსირებულა, მაგრამ იქ არსებული ჰაბიტატების და ლიტერატურული წყაროების მიხედვით, მდ. სუფსას ხეობაში აღნიშნული სახეობა გვხვდება. სახეობის არსებობას ადასტურებს ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. 2025 წლის სექტემბრის თვეში ჩატარებული საველე კვლევისას ჰესის შენობის მიმდებარე განხორციელდა ღამურებზე დაკვირვება - ღამურების

დეტექტორის (Anabat Walkabout) მეშვეობით. კვლევისას დაფიქსირდა Pipistrellus-ის და Nyctalus-ის გვარების წარმომადგენლები. საველე კვლევისას დამურებიდან არ დაფიქსირებულა საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები. საპროექტო დერეფანზე ან მის სიახლოვეს არ გადის ფრინველთა მიგრაციის მარშრუტები, ასევე იგი არ არის მოქცეული საქართველოში ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების ფარგლებში (Special protection areas), რომელთა ფუნქციასაც წარმოადგენს საქართველოში მოხუდარი ფრინველების პოპულაციების დაცვა და მონიტორინგი. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიებზე და მის შემოგარენში გავრცელებულ სახეობებზე ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება სამუშაოების წარმოების პროცესში ხმაურთან, ვიბრაციასთან, განათებულობის ფონის ცვლილებასთან და წყლის სიმღვრივის შესაძლო ზრდასთან. ადგილი ექნება გარკვეულ არაპირდაპირ ზეწოლას, იმ ეკოსისტემების ნაწილზე, რომლიდანაც ცხოველები ენერჯიას იღებენ საკვების სახით, რაც გარკვეულწილად გაზრდის ფონურ სტრესს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ჰაბიტატებში მოხინაძრე ფაუნის წარმომადგენლებისთვის. აღნიშნულის საპირწონედ, გზმ-ის ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, რაც ითვალისწინებს პროექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპს.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით დაგეგმილი საპროექტო ტერიტორია არ ექცევა რომელიმე ზურმუხტის ქსელის ფარგლებში. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, საპროექტო მონაკვეთი არ მდებარეობს საქართველოს დაცული ტერიტორიის საზღვრებში.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია, მდ. სუფსას კალაპოტში დაგეგმილი „სურები 2 ჰესის“ მშენებლობით და ექსპლუატაციით გამოწვეული ჰიდრობიოლოგიურ-იქთიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევა. კვლევის ფარგლებში საპროექტო სათავე ნაგებობის მიმდებარედ დაფიქსირდა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ნაკადულის კალმახის (*Salmo labrax*) ინდივიდები. ქვედა მონაკვეთებში სეზონურად მოსალოდნელია კოლხური წვერას, კოლხური ტობის და ფრიტას არსებობა. გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია იქთიოფაუნაზე ზემოქმედება და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში, მათ შორის: სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში სისტემატურად მოხდება დადგენილი ეკოლოგიური ხარჯის 0,38 მ<sup>3</sup>/წმ-ის გატარება, სათავე ნაგებობაზე ეკოლოგიური ხარჯის ოდენობის ან მასზე ნაკლები წყლის მოდინების შემთხვევაში ჰესის მუშაობის შეზღუდვა (საჭიროების შემთხვევაში შეჩერება) და მოდენილი წყლის ქვედა ბიეფში გატარება, პირველ რიგში თევზსავალის და სხვა ნაგებობების გამოყენებით; პროექტის ფარგლებში დაგეგმილია თევზსავალი ნაგებობის მოწყობა და იქთიოფაუნის სახეობების მონიტორინგი, მშენებლობის ეტაპზე მდინარის ჰიდროლოგიურ მონაცემებზე დაკვირვების მიზნით ხარჯმზომ(ებ)ის მოწყობა. ექსპლუატაციის პროცესში ოპერირების დაწყებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში მოხდება იქთიოფაუნის მონიტორინგი, ასევე იქთიოფაუნაზე მიყენებული ზიანის კომპენსაციის მიზნით გათვალისწინებულია მდ. სუფსას საპროექტო მონაკვეთის პერიოდული დათევზიანება. მშენებლობის ეტაპზე იწარმოებს ბიომრავალფეროვნების (იქთიოფაუნა და წყალთან დაკავშირებული სახეობები) არსებული მდგომარეობის და მათზე დამდგარი ზემოქმედების მონიტორინგი.

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია პროექტის განხორციელების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, „სურები 2 ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიის სტაციონარული წყაროები არც სათავე და არც ძალური კვანძის ტერიტორიაზე არ იარსებებს. ექსპლუატაციის დროს ემისიები მოსალოდნელია ტექნომსახურების/რემონტის დროს. თუმცა, ასეთი ზემოქმედება დროში შეზღუდული, შექცევადი და გაცილებით დაბალი მასშტაბების იქნება, ვიდრე მოსალოდნელია მშენებლობის ეტაპზე. „სურები 2 ჰესის“ მშენებლობის ეტაპზე გამონაბოლქვის და მტვრის გავრცელების შემცირების მიზნით გატარდება შემდეგი

შემარბილებელი ღონისძიებები: უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა, უზრუნველყოფილი იქნება მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა, მანქანები და დანადგარ-მექანიზმები შეძლებისდაგვარად განლაგდება მგრძობიარე რეცეპტორებისგან (დასახლებული ზონა, ტყის ზონა) მოშორებით და სხვა. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის კომპიუტერული მოდელირების კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში ნორმატიულ მნიშვნელობებს არ აღემატება.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია, ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, „სურები 2 ჰესის“ სათავე ნაგებობის სამშენებლო ბანაკი უახლოესი საცხოვრებელი ზონიდან დაშორებულია დაახლოებით 4000 მ-ით, პირდაპირი მანძილით, სამშენებლო ბანაკსა და დასახლებულ პუნქტს შორის არსებობს მთის სისტემის ბარიერი. გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ხმაურის გაანგარიშება ჰესის (საგენერატორ) შენობის მოწყობის სამუშაოებისთვის, საიდანაც უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 168 მ-ით დაშორებულ მანძილზე. გაანგარიშებით მიღებული შედეგების (54.51 დბა) მიხედვით, ჰესის შენობის სამშენებლო პროცესების შედეგად, მოსალოდნელია საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ხმაურის დადგენილ ნორმებზე გადაჭარბება თითქმის 5 დბა-ით. თუმცა, სამშენებლო ჰესის შენობისა და საცხოვრებელი სახლის ზღვის დონიდან სიმაღლეებს შორის არსებული მნიშვნელოვანი ვერტიკალური სხვაობიდან (75 მ), ასევე სოფ. ტობახჩას გარშემო არსებული ხშირი ტყით დაფარულობიდან გამომდინარე, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე იქნება 6-8 დბა-ით ნაკლები. შესაბამისად ხმაურის დონემ შესაძლოა მიაღწიოს დაახლოებით 49 დბა-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჰესის სამშენებლო სამუშაოებით ხმაურის დასაშვებ ნორმატივებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ამასთან გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ჰესის შენობაში დამონტაჟებული ჰიდროაგრეგატები, რომლებიც მოთავსებული იქნება დახშულ კორპუსში, რომელსაც ხმაურის შთანთქმის მაღალი მაჩვენებელი გააჩნია. ხმაურის გავრცელებას ასევე შეამცირებს შიდა ინტერიერში მოწყობილი ხმაურსაიზოლაციო მასალები და ჰესის შენობა, გზმ-ის ანგარიშში მოცემული გათვლების თანახმად, ჰესის ექსპლუატაციისას საანგარიშო წერტილებში ხმაურის დონე შეადგენს 38.88 დბა-ს.

პროექტის განხორციელებისას, მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება სახეობის და სახიფათოობის მიხედვით. ნარჩენების წარმოქმნის უბნებთან ახლოს განლაგებული იქნება მარკირებული სპეციალური კონტეინერები. ნარჩენების შეგროვება მოხდება შესაბამის კონტეინერებში, მათი კატეგორიის და საშიშროების მიხედვით. არასახიფათო ნარჩენები გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორებს. გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც აღწერილია პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები, რაოდენობები და მათი მართვის საკითხები.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, „სურები 2 ჰესის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ნაწილობრივ შედის ზოტის მადნიანი ველის (ოქრო, პოლიმეტალები) კონტურში. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტი, იმ

პირობით, თუ მომავალში მიმდებარე ტერიტორიებზე არ შეიზღუდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის შედეგები. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო არეალი არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში, ხოლო წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, „სურები 2 ჰესის“ საპროექტო ტერიტორიის სავსე ვიზუალურმა შესწავლამ არ გამოავლინა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები ან მათი ნაშთები უშუალოდ საპროექტო არეალში. შესაბამისად, სააგენტოს წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშზე შენიშვნები არ გააჩნია.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, „სურები 2 ჰესის“ განთავსების დერეფანში მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტები განთავსებული არ არის. არსებული ინფორმაციით მსგავსი ობიექტების მოწყობა არც მომავალში იგეგმება. როგორც უკვე აღინიშნა, სამომავლოდ დაგეგმილია „სურები 2 ჰესის“ მიერ გამოიმუშავებული ენერჯის გადასაცემად დაახლოებით 8 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, ამ ეტაპზე ეგზ-ის პროექტის არ არის შემუშავებული, თუმცა სავარაუდოა, რომ ამ ორი პროექტის ერთდროული განხორციელება არ მოხდება, ამიტომ კუმულაციური ეფექტი იქნება დაბალი ხარისხის. გზმ-ის ანგარიშის თანახმად ადგილობრივი რელიეფი და ხე-მცენარეული საფარის არსებობა ზღუდავს ჰესის ინფრასტრუქტურის ვიზუალური თვალთახედვის არეალს, საცხოვრებელი სახლებიდან რომელიმე სამშენებლო მოედანი და მშენებლობის დასრულების შემდგომ ჰესის ინფრასტრუქტურა შესამჩნევი არ იქნება. „სურები 2 ჰესის“ შენობა შესამჩნევი იქნება ხეობაში გადაადგილებული ადამიანებისთვის, ხოლო „სურები 2 ჰესის“ სათავე ნაგებობა შეუმჩნეველი იქნება, როგორც სოფლის მაცხოვრებლების ასევე აქ გადაადგილებული ადამიანებისთვის. ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შერბილებისა და პრევენციის მიზნით, დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინფორმაცია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, რაც მაგალითად, გულისხმობს როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივი ნაგებობების ფერის და დიზაინის შერჩევას ის რომ შეხამებული იყოს გარემოსთან; დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების განთავსებისთვის შეძლებისდაგვარად შეუმჩნეველი ადგილების შერჩევას; სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ სარეკულტივაციო სამუშაოები (განსაკუთრებით სამშენებლო ბანაკების და ფუჭი ქანების სანაყაროს ფარგლებში) ჩატარებას და სხვა.

გზმ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებ.გვერდზე და ფეისბუქგვერდზე. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთშიც.

გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2026 წლის 12 იანვარს, სოფ. ზემო სურების საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“, წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე ყურადღება ძირითადად გამახვილდა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. რაზეც შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა გააკეთეს შესაბამისი განცხადებები. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმში.

გზმ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილი იყო ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ და ადგილობრივი

მოსახლეობის შენიშვნები/მოსაზრებები, რომლებიც ძირითადად ეხება დოკუმენტში ჰიდროლოგიური მონაცემების და ეკოლოგიური ხარჯის საკითხის შესახებ ინფორმაციის დაზუსტებას, ალტერნატივების და პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხს, დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზის არარსებობას, ეკოტურიზმზე მოსალოდნელ ზემოქმედების შეფასების საკითხს და სხვა. აღნიშნული საკითხები განხილული იქნა შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში (N1978), მათ შორის განმარტებები გაკეთდა გზშ-ის ფარგლებში განსაზღვრულ ღონისძიებებზე. როგორც აღინიშნა, ზემოაღნიშნული დამატებითი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე ასევე მოცემულია დანართის სახით. დაზუსტებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი მონიტორინგის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების და კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმები, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, დასკვნები და რეკომენდაციები, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, საპროექტო ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, კლიმატი, გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები, ბიოლოგიური გარემო, ნიადაგები.

**გზშ-ის ანგარიშში განიხილეს გარემოსდაცვითი შეფასების სფეროს სხვადასხვა მიმართულების შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - „სურები 2 ჰესის“ და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ ვალდებულია:
  - ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშზე თანდართული (დანართები) და დაზუსტებული დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
  - ბ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს მილსადენის ტრასის ფერდის მაღალი მოჭრის უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობებისა და მათი მდგრადობის უზრუნველყოფის ღონისძიებების (ჰორიზონტალური ბერმების მოწყობა, ანკერებით გამაგრება) შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;
  - გ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან სამი თვის ვადაში სააგენტოში წარმოადგინოს ნაპირსამაგრი ნაგებობების განთავსების უბნების გეგმები, გრძივი და განივი ჭრილები, საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების, წყლის მახასიათებელი დონეებისა და კალაპოტის გარეცხვის

სავარაუდო სიღრმეების ჩვენებით. ასევე სადერივაციო სისტემის დამცლელი მილების ადგილმდებარეობა, გეგმა, გრძივი და განივი ჭრილები და ქვემო ბიეფთან შეუღლების (ენერჯის ჩაქრობის) პირობების შესახებ ინფორმაცია;

დ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სამეურნეო-ფეკალური წყლების გაწმენდის შემდეგ მდ. სუფსაში ჩამდინარე წყლების ხარისხის ყოველკვარტალური მონიტორინგი;

ე) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების ზონაში და მათ მიმდებარედ საშიშ გეოლოგიურ პროცესებზე მონიტორინგის წარმოება და საჭიროების შემთხვევაში საშიშ გეოლოგიური პროცესებით დაძაბულ უბნებზე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება;

ვ) ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს მდინარე სუფსას კალმახით დათევზიანების გეგმის (დათევზიანების ვადის/ვადების, ადგილის/ადგილების, დასათევზიანებელი ინდივიდების ოდენობის და სხვა სათანადო ინფორმაციის მითითებით) სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა. მონიტორინგის ფარგლებში უზრუნველყოს დაკვირვება და მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების შესახებ ანგარიშის სააგენტოში წარმოდგენა, მათ შორის თევზსავალისა და დათევზიანების ეფექტიანობის შესახებ, სათანადო რეკომენდაციებითა და დასკვნების გათვალისწინებით. რეკომენდაციები და დასკვნები უნდა მოიცავდეს ასევე დამატებით შემარბილებელი/ზემოქმედების თავიდან აცილების ქმედებების გატარების და შემდგომი დათევზიანების საჭიროებას;

ზ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ასევე, ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

თ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების“ შესაბამისად;

ი) მშენებლობის განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

კ) სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ნებისმიერი ქმედება განხორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებით;

ლ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროს/სანაყაროების დეტალური პროექტების (shp ფაილებთან ერთად) სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა. სანაყაროს/სანაყაროების მოწყობა უზრუნველყოს შეთანხმების შესაბამისად;

მ) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

ნ) მშენებლობის დაწყებისა და დასრულების, ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს;

ო) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/133-21-4-202603040947>

